Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

N12 (89) გამოც. მე-3 წელი — ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი — ბერლინი. 19 მარტი, 1944 წ.

წინასწარი შეჯამება

გაზეთ „დას რაიხში“ მოთავსებულია დოქტორი **გებელსის** მეტად საინტერესო წერილი. ვბეჭდავთ მის თარგმანს შემოკლებით.

ლაპარაკიც არ ღირს იმაზე, რომ საჰაერო ტერორი ჩვენი ხალხისთვის მძიმე განსაცდელს წარმოადგენს. ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვინდა ეს უარვყოთ. სწორედ უკანასკნელი 4 თვის მანძილზე ბერლინში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში, რომლებმაც თავდასხმა განიცადეს, ჩვენ წავაწყდით ადამიანთა ისეთ მწუხარებას, მამაკაცთა სიძულვილსა და სევდით მოკლულ ქალთა ისეთ ტანჯვას, რომ ზუსტად ვიცით, რას ნიშნავს ხალხისათვის საჰაერო ომი. ეხლა ჯერ დრო არ არის გამოვთქვათ საბოლოო აზრი; ჩვენ ამას გავაკეთებთ მაშინ, როდესაც ინგლისის ჯერი კვლავ მოვა. ამჟამად სიტყვა ეხება უფრო წინასწარ შეჯამებას, საჰაერო ომის თანამედროვე მდგომარეობის რეალურ გაშუქებას და მის გავლენას საერთო-სტრატეგიულ საკითხებზე.

ყოველთვის, როდესაც გერმანული ავიაცია მტრის ბომბდამშენთა დღით ან ღამით თავდასხმისას ხვდება მათ გამანადგურებელთა ესკადრილიებით და განაცდევინებს მძიმე დანაკარგებს, ლონდონსა და ვაშინგტონში ისმევა ერთი გაუგებარი კითხვა — საიდან იღებენ გერმანელები გამანადგურებელთა ასეთ რაოდენობას? იქ ფიქრობენ, თითქოს ჩვენი საავიაციო ქარხნები სინამდვილეში იმდენად დანგრეულია, რომ ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქცია უმნიშვნელოა... საჰაერო ტერორმა არამარტო ვერ დააზიანა ჩვენი სამხედრო მრეწველობის სასიცოცხლო ცენტრები, არამედ ვერც კი შესძლო ხელი შეეშალა გათვალისწინებული წლიური პროგრამის შესრულებისათვის...

მაინც რას უნდათ მიაღწიონ ინგლისელებმა და ამერიკელებმა საჰაერო ტერორით? მათი დანაკარგები ყოველკვირეულად იზრდება ისეთი მასშტაბით, რომელიც ემუქრება მათ. ისინი სცდილობენ გამოიყენონ ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები, მაგრამ, როგორც წესი, მათი შენაერთები თავიანთ ბაზებზე ბრუნდებიან დაფანტულნი, დამსხვრეულნი და დიდი დანაკარგებით. ინგლის-ამერიკელი მფრინავებისათვის გერმანიაზე დღისა ან ღამის თავდასხმები სრულიად არ წარმოადგენენ სიამოვნებას. მოწინააღმდეგის თვითეული მფრინავი, რომელიც გერმანიაში მოფრინავს, სიკვდილის კანდიდატია. თუ ბედმა იგი დღეს გადაარჩინა, ხვალ მაინც დაიღუპება.

ინგლისელმა ხალხმა უნდა საბოლოოდ შეიგნოს, რომ ჩვენ ვიწყებთ ენერგიულ წინააღმდეგობას. ინგლისის მთავრობა დღეს იძულებულია აღიაროს გერმანელთა დარტყმების მთელი სიმძიმე. ლონდონის მცხოვრებთ ალბათ არ ესიამოვნებათ იმის გაგება, რომ მომავალში ინგლის-ამერიკელთა თვითეულ თავდასხმას გერმანიის რომელიმე ქალაქზე, მოჰყვება გერმანელთა თავდასხმა ინგლისის ერთერთ ქალაქზე. ამასთანავე, ინგლის-ამერიკელთა დანაკარგები 3—4-ჯერ, ხანდახან კი ათჯერაც აღემატებიან ჩვენს დანაკარგებს, ვინაიდან გზა, რომელიც მათმა თვითმფრინავებმა უნდა გაიარონ, ბევრად უფრო გრძელია. მაგრამ რას იტყვიან ინგლისელები იმაზე, რომ ეს ჯერკიდევ ნამდვილი შურისძიება არ არის, არამედ მხოლოდ მისი უვერტიურაა.

ზოგიერთ ქალაქებში, არაერთგზის განიცადეს რა მტრის ავიაციის თავდასხმანი, არიან ოჯახები, რომლებიც სამჯერ, ოთხჯერ დაზარალდნენ ბომბარდირებათაგან. მაგრამ, რომელიმე მათგანმა მიატოვა სამუშაო? უპასუხებენ რა ამ კითხვაზე, ჩვენი მტრები უშვებენ მსხვილ ფსიქოლოგიურ შეცდომას — ისინი ფიქრობენ, რომ საჰაერო ომით შესძლებენ ჩვენი ხალხის სიმტკიცის გატეხვას და ამით გადამწყვეტ გავლენას მოახდენენ სამხედრო ვითარებაზე. ეს არ შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით ჩვენთან, გერმანელებთან, რომლებიც საუკეთესოდ ვაძლევთ თავისთავს ანგარიშს, თუ რა მოჰყვება მას. საჰაერო ომი, როგორც კი ორმხრივი გახდება და ეს ახლო მომავალში განხორციელდება, სურათი საფუძვლიანად შეიცვლება. განუწყვეტელი დანაკარგების შედეგად მტერი ბოლოსდაბოლოს მივა იმ მდგომარეობამდე, როცა ომის ეს სახე მისთვის უსარგებლო აღმოჩნდება. ლონდონსა და ვაშინგტონში ამჟამად უკვე საგრძნობია მერყეობა საჰაერო ტერორის გაგრძელების შესახებ...

ინგლის-ამერიკელი სარდლობა დაუშვებდა დიდ შეცდომას, ომის წარმოების შემდგომი პერსპექტივები რომ დაემყარებინა ბომბარდირებათა შედეგად ვითომდა მოპოებულ წარმატებებზე. როგორც სჩანს, მტრის სარდლობა დარწმუნებულია ჩვენს იმდენად დასუსტებაში, რომ დესანტის გადმოსხმა დასავლეთში სულ მცირე დროის განმავლობაში აღმოჩნდება ბავშვურ თამაშად. არავინ ელობება ჩვენს მტრებს ჩაატარონ ეს ცდა. ისინი დარწმუნდებიან, რომ ჩვენ საკმაო რაოდენობით გვყავს ჯარისკაცები და გვაქვს იარაღი, რომ ომის წლებში ჩვენი არმიის მებრძოლი სული კი არ შესუსტდა, არამედ, პირიქით, განმტკიცდა...

ჩვენს განცხადებაზე იმის შესახებ, რომ ჩვენი ხალხის მებრძოლი სული გაუტეხელია, ლონდონიდან გვიპასუხეს, რომ მებრძოლი სული კარგი საქმეა, მაგრამ მას არ შეუძლია დანგრეული ქარხნებისა და ფაბრიკების შეცვლა. ჩვენ შეგვეძლო ეს ლონდონელი „ორატორები“ მიგვეყვანა ჩვენი ქვეყნის ათასეულ ადგილებზე, სადაც სოკოებსავით წამოიზარდნენ და იზრდებიან ახალი სამხედრო საწარმოები. ეს საწარმოები სანახევროდ შექმნილი არიან ქვისა და რკინისაგან, სანახევროდ — ჩვენი ხალხის გმირული სულისაგან. მაგრამ განა შეიძლება გაიგოს ეს პლუტოკრატიულმა მწვერვალმა, რომლის მორალი მხოლოდ ოქროთი განისაზღვრება?

ლონდონში ამტკიცებენ, რომ ჩვენ არ გვყოფნის სიმამაცე გამოვიდეთ საკუთარი ხალხის წინაშე ცნობებით საჰაერო ომის შესახებ. ეს არ არის სწორი, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ისე ვილაპარაკოთ, რომ მტერმა არ მოგვისმინოს. საჰაერო ტერორის უარყოფითი მხარეები ჩვენთვის ისედაც ცნობილია; მისი დადებითი შესაძლებლობანი — მას აქვს ასეთი შესაძლებლობანი და ახლო მომავალში ისინი იქნებიან უფრო მეტნი, ვიდრე ეს სურდათ ჩვენს მტრებს, — ამჟამად წარმოადგენენ სამხედრო საიდუმლოებას. ამიტომ დღეს უნდა დავკმაყოფილდეთ წინასწარი შეჯამებით. ამ წინასწარმა შეჯამებამ უნდა გაჰფანტოს ზოგიერთი ეჭვები ჩვენს ხალხში, აგრეთვე ილუზიები მტრის ბანაკში. სასაცილოა დავა იმაზე, რომ საჰაერო ომის დარგში უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში ჩვენ მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ. ახლოვდება დღე, როცა ჩვენ გადავშლით ბრიტანეთის ცინიზმის წიგნს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, რათა ანგარიში გავუსწოროთ მტერს. ჩვენ არაფერი დაგვვიწყებია. მსოფლიო არ შეიცოდებს ინგლისელ ხალხს, როცა მისი ჯერი დადგება.

ჩვენ ვიცით, რომ კიდევ არაერთი დარტყმის გადატანა მოგვიხდება, მაგრამ მაშინ ცეცხლი მოედება არამარტო გერმანიის, არამედ აგრეთვე ინგლისის ქალაქებსაც. ამ დროს ჩვენ არ ვიზეიმებთ. ჩვენ ვიცით, რა არის საჰაერო ომი და მას სიამოვნებით არ ვაწარმოებდით, მაგრამ ჩერჩილმა და მისმა დამქაშებმა სხვაგვარად გადასწყვიტეს. ჩვენ იძულებული ვართ თავი დავიცვათ. ჩვენ ამას ვაკეთებთ გულცივი ფანატიზმითა და მხურვალე სიძულვილით. სხვა არაფერია ისეთი, რომელშიც გერმანელი ხალხი იყოს ასე ერთსულოვანი თავისი შეხედულებით.

იტალიის ფრონტი. მამაცი გერმანელი პარაშუტისტები
დაშვების შემდეგ ღრმა თოვლში იკვლევენ გზას მიზნის მისაღწევად.

ახალი განმასხვავებელი ნიშნები მოხალისეთა ნაწილებში

ფიურერის გადაწყვეტილებით მოხალისეთა ნაწილებში შემოღებული იქნება გერმანული განმასხვავებელი ნიშნები. ამასთან დაკავშირებით, შეჩერებულია ზოგიერთ მოხალისეთა ნაწილებში უკვე შემოღებული ახალი ლურჯი ტანსაცმლის ტარება. გერმანული განმასხვავებელი ნიშნები შემოღებულია მას შემდეგ, რაც ნებადართულ იქნა მოხალისეთა ნაწილების ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიმამაცისათვის დაჯილდოვება წარჩინების გერმანული ნიშნებით.

ამ ღონისძიებით, გერმანული სარდლობა გვიჩვენებს, რომ იგი კმაყოფილია მოხალისეთა ნაწილების ჯარისკაცებითა და ოფიცრებით, რომელნიც კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სარდლობა არასოდეს არ დაუშვებდა, რომ მოხალისეებმა ატარონ გერმანული განმასხვავებელი ნიშნები, რითაც ასე ამაყობს თვითეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

გერმანული ნიშნების შემოღებით, სარდლობა ამასთანავე ერთად ხაზს უსვამს იმ ერთიანობას, რომელიც არსებობს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მოხალისეთა ცალკეული ნაწილების ეროვნული ხასიათი გამოსახული იქნება შესაფერი ნიშნებით მკლავზე.

მოხალისეთა შენაერთების მიერ გერმანული განმასხვავებელი ნიშნების ტარების მაგალითები უკვე იყო ესპანურ და ფრანგულ ლეგიონებში და აგრეთვე ზოგიერთ სხვა ნაციონალურ ნაწილებში, რომლებიც იბრძვიან გერმანელების სარდლობით.

ეს ღონისძიება ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა პროპაგანდის სიყალბეს, რომელიც განუწყვეტლივ გაჰკივის იმაზე., თითქოს გერმანული არმიის რიგებში მებრძოლი მოხალისენი, გერმანელების თვალში წარმოადგენენ მხოლოდ „უნტერმენშებს“.

დადგენილება ამ ახალი ღონისძიების განხორციელების შესახებ გამოვა უახლოეს დღეებში. ერთდროულად გამოიცემა ბრძანება ახალი განმასხვავებელი ნიშნების ტარების შესახებ.

გმირთა ხსოვნის დღე

12 მარტს მთელს გერმანიაში აღინიშნა გერმანიის არმიის დაღუპული გმირების ხსოვნა. სამგლოვიარო ზეიმის მთავარი ადგილი იყო ბერლინი,სადაც ხსოვნის აღნიშვნა ჩატარდა მათ საპატივსაცემოდ აშენებულ ძეგლთან. სამხედრო ფლოტის სარდალმა, გროსადმირალმა დენიცმა, გერმანული უმაღლესი სარდლობის, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საიმპერიო ხელმძღვანელობის, იმპერიის მთავრობისა და გერმანიის არმიის ცალკეული ნაწილების ხელმძღვანელი წარმომადგენლების თანდასწრებით, ადოლფ ჰიტლერის სახელით აქ მოიტანა გვირგვინი. ამის შემდეგ დაიწყო ,,გროსდოიჩლანდის“ პოლკის ერთი ასეულის ცერემონიული მსვლელობა.

გროსადმირალმა დენიცმა წარმოთქმულ სიტყვაში მიუთითა, რომ გერმანიის ხალხი აღნიშნავს რა ყველა ფრონტზე. — ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, დაცემულ გმირთა ხსოვნას, ამასთანავე ერთად იგონებს იმ დაღუპულ მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს, რომელნიც საჰაერო ტერორის მსხვერპლნი შეიქნენ.

სწარმოებს გიგანტური ბრძოლა, მაგრამ გერმანელებმა იციან, რომ ამ ბრძოლიდან ისინი გამარჯვებული გამოვლენ, ვინაიდან მათ ხელმძღვანელობს ადოლფ ჰიტლერი. გერმანიის ძალა მდგომარეობს ხელმძღვანელობის,ფრონტისა და ხალხის ერთიანობაში.

დეპეშების გაცვლა

სამთა პაქტთან ბულგარეთის შეერთების სამი წლისთავის გამო, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რიბენტროპმა და ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიშმანოვმა ერთმანეთს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშები.

მტრის მძიმე დანაკარგები აპრილიასთან.

სტალინი მოითხოვს სამხედრო ტყვეების გადაცემას

მსოფლიო პრესა შემოიარა ცნობამ, რომ თებერვლის ბოლოს საბჭოთა კავშირმა ფინეთის მთავრობას წარუდგინა ულტიმატური მოთხოვნილება კაპიტულაციის შესახებ. არაოფიციალურ მოლაპარაკებაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან შვეციაში, კოლონტაისთან, საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რათა ფინეთმა, დაუყოვნებლივ შესწყვიტოს წინააღმდეგობა, მოახდინოს მის ტერიტორიაზე მყოფი გერმანული ჯარების ინტერნირება და საბჭოთა კავშირს იძულებით გადასცეს ყველა ის სამხედრო ტყვეები და აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალაქენი, რომელნიც ამჟამად ფინეთში იმყოფებიან.

როგორც ფინური პრესიდან სჩანს, საბჭოთა კავშირის ამ მზაკვრულ მოთხოვნილებებზე ფინელი ხალხი უპასუხებს. უფრო მეტი შემჭიდროებით თავის ეროვნულ ბელადთა გარშემო, რომელნიც მეთაურობენ ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება ეს ამბები, ჩვენთვის, მოხალისეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამხედრო ტყვეებისა და ყველა სხვა ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების ძალდატანებითი უკანდაბრუნება, სტალინს მიაჩნია ერთერთ მთავარ პირობად საზავო მოლაპარაკებისათვის. ჩვენ ვიცით, რატომ მოითხოვს სტალინი ასე დაჟინებით სამხედრო ტყვეებს. საბჭოთა კავშირ-ფინეთის წარსული ომის გამოცდილება ამაზე საკმაოდ ნათლად გვიპასუხებს. ყველა ტყვე, რომელიც ომის შემდეგ დააბრუნეს ფინეთიდან საბჭოთა კავშირში, მოთავსებულ იქნა საკონცენტრაციო ბანაკებში. მათგან მეტი წილი დაიღუპა შინსახკომის ჯურღმულებში, როგორც „სამშობლოს მოღალატე“.

სტალინი ეხლა ამზადებს სამხედრო ტყვეებისა და ბოლშევიკური მონობიდან ყველა გამოქცეულთა მასობრივ გასამართლებას. იგი ამას არც ჰფარავს. სწორედ ამაზე ლაპარაკობს ფინეთისადმი წარდგენილი სტალინის ულტიმატუმი სამხედრო ტყვეების დაბრუნების მოთხოვნის შესახებ.

*

ავსტრიის გერმანიასთან შეერთების წლისთავი

11 მარტს ვენაში შესდგა ზეიმი გერმანიასთან ავსტრიის შეერთების და დიდი გერმანიის შექმნის 6 წლისთავის აღსანიშნავად. ერთერთი დიდი ქარხნის შენობაში თავი მოიყარა 25.000 მშრომელმა — კაცებმა და ქალებმა. ზეიმს ესწრებოდნენ პარტიის, მთავრობისა და არმიის საპატიო სტუმრები, მათ რიცხვში „გროსდოიჩლანდის“ სატანკო დივიზიის დეპუტაცია, რომელიც ფრონტიდან ჩამოვიდა. საიმპერიო ხელმძღვანელმა ფონ შირახმა დამსწრეთ მოაგონა 1938 წლის მარტის შესახებ, როცა ადოლფ ჰიტლერის სამშობლო კვლავ გერმანიას დაუბრუნდა. იმ დღიდან წარმოიშვა ყველა მშრომელის ძლიერი ერთიანობა, დღევანდელი ზეიმით დასტურდება გერმანელი სოციალისტების მტკიცე კავშირი.

„ჩვენს ხალხში შეიძლება მოიძებნებიან არამტკიცე და მხდალი „ელემენტები“, — სთქვა ფონ შირახმა, — „მაგრამ აქ, ამ შენობაში, ჩვენ ვდგავართ მშრომელთა არმიის მამაცი წარმომადგენლების წინაშე. აქ შეკრებილია ხალხი, რომელიც ამ ომში არაფერს ჰკარგავს და რომელსაც მხოლოდ მოგება შეუძლია. დღეს თავი მოიყარეს კაცებმა და ქალებმა, რომელთა გულებიც სცემს გერმანიის სახელმწიფოსა და ადოლფ ჰიტლერისათვის“.

მდგომარეობა ფრონტებზე

(კვირეული მიმოხილვა)

აღმოსავლეთის ფრონტზე განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლებია სამხრეთ ნაწილში, ინგულზე, უკრაინის ბუგის შუა დინებასთან, **პოგრებიშჩეს** სამხრეთ-დასავლეთით და ტარნოპოლის აღმოსავლეთით. ბოლშევიკები აქ აწარმოებდნენ განუწყვეტელ შემოტევებს, რომელთაც მოსდევდა მათ მხრივ უდიდესი დანაკარგი. მტრის ცდა — გაერღვია გერმანიის თავდაცვის ხაზი, ყველგან უშედეგოდ მთავრდებოდა. მცირეოდენი წინწამოწევა ბოლშევიკებს უჯდებათ აურაცხელ მსხვერპლად. გერმანელები წარმატებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლას და აწარმოებენ აგრეთვე ძლიერ კონტრშეტევებს ისე, როგორც ეს მოხდა ტარნოპოლის აღმოსავლეთით.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის 14 მარტის ცნობით, გერმანიის ჯარებმა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ყველა სამხედრო მნიშვნელობის ობიექტის სრული დანგრევის შემდეგ დასტოვეს ქალაქი **ხერსონი**. აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბნებზე ადგილი აქვს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებს. **ნეველის** ჩრდილო-დასავლეთით ბოლშევიკებმა განავითარეს ძლიერი შემოტევა, რომელიც დამთავრდა გამანადგურებელი მარცხით. იერიშზე გადმოსულმა საბჭოთა ჯარებმა განიცადეს უდიდესი დანაკარგი, როგორც სამხედრო ტექნიკის, ისე ცოცხალი ძალის მხრივ. **ნარვის** სამხრეთ-დასავლეთით წინ წამოსული მტერი გერმანიის ჯარებმა კვლავ განდევნეს მათ მიერ ახლადაღებული პოზიციებისაგან.

სამხრეთი იტალიის ფრონტზე სიწყნარეა. გერმანიის შორსმსროლი ქვემეხების ბატარიები ყუმბარებს უშენდნენ **ანციო-ნეტუნოს** რაიონს, რომლის შედეგადაც გამოწვეულია დიდი ნგრევა და ხანძრები. 14 მარტს, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, ინგლის-ამერიკელებმა **ნეტუნოს** მიდამოებში ტანკების დახმარებით აწარმოეს რამდენიმე ძლიერი შემოტევა, ყველა ისინი უკუგდებულ იქნენ. გერმანელებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე.

ამერიკულმა ბომბდამშენებმა რამდენჯერმე სცადეს ბერლინზე დღისით თავდასხმა. გერმანიის საზენიტო არტილერია და საჰაერო გამანადგურებლები ენერგიულად ებრძოდნენ მტრის საავიაციო შენაერთებს. ადგილი ჰქონდა უდიდეს საჰაერო ბრძოლებს, რომლის შედეგადაც ამერიკელებმა ვერ შესძლეს ბერლინზე დღისით მოეწყოთ მასობრივი თავდასხმა. 6 მარტს ჩამოგდებულ იქნა 140 ბომბდამშენი, 8 მარტს—112.

ღამით გრძელდებოდა ინგლის-ამერიკელთა საჰაერო ძალების თავდასხმანი, განსაკუთრებით გერმანიის დასავლეთი ნაწილის ქალაქებზე. 14-15 მარტს გერმანიის ძლიერი საჰაერო შენაერთები თავს დაესხნენ ლონდონს და ჩამოჰყარეს დიდძალი ფუგასური და ცეცხლწამკიდი ბომბები. დანგრეულია მრავალი შენობა, იწვოდა ქალაქის მთელირიგი რაიონები.

ინგლის-ამერიკელებმა კვლავ მოახდინეს ახალი ტერორისტული თავდასხმა **რომზე**. ქალაქის რამდენიმე რაიონში ადგილი ჰქონდა ძლიერ ნგრევასა და ადამიანთა მსხვერპლს.

წარჩინების ახალი ნიშანი



30 იანვრის ბრძანებით ფიურერმა დააწესა წარჩინების ნიშანი მოსკოვის მიერ მოწყობილი პარტიზანული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სს-ის რაიხსფიურერის მითითებაში წარჩინების ნიშნით დაჯილდოების წესის შესახებ, გათვალისწინებულია სამი ხარისხის ასეთი ნიშანი — ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროსი, იმ პირთა დაჯილდოებისათვის, ვინც შესაბამისად 20, 50 და 100 დღე გაატარა პარტიზანული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. წარჩინების ნიშანს მიიღებენ როგორც გერმანელი ჯარისკაცები, ისევე არაგერმანული სამხედრო დანაყოფების წარმომადგენლები, რომელთაც ფიცი აქვთ მიცემული ფიურერისადმი.

დაწოლა ნეიტრალურ ქვეყნებზე

რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფოს მეთაურის, გენერალი ფრანკოს თავმჯდომარეობით მადრიდში ჩატარდა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა საერთაშორისო მდგომარეობა. მინისტრთა საბჭომ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომელიც კვლავ ადასტურებს ესპანეთის შეურყეველ რწმენას, შეინარჩუნოს და დაიცვას მტკიცე ნეიტრალიტეტი. ამ გადაწყვეტილებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს ფართო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში. მისთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურის სიტყვებს მიმდინარე ომის დაწყებისთანავე, ვინც იცის, როგორი სიმამაცით იბრძოდნენ მოხალისეები აღმოსავლეთის ფრონტზე ევროპის დასაცავად ბოლშევიზმისაგან და რა მსხვერპლი გაიღო ამ საქმის სახელით ესპანურმა „ცისფერმა დივიზიამ“, მინისტრთა საბჭოს ეს გადაწყვეტილება გასაკვირი არ არის. სამაგიეროდ ესპანეთის წინააღმდეგ მიმართულ ინგლის-ამერიკულ საპროპაგანდო კამპანიას, რომელიც უკანასკნელ ხანებში განუწყვეტლივ იზრდება, არ შეიძლება გაოცება არ გამოეწვია. თავისუფლებისა და სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის თვალთმაქცი დამცველები, ინგლის-ამერიკელები ჯერ პირფერული ჩაგონებით, შემდეგ კი აშკარა მუქარით, შეეცადნენ შეერყიათ ესპანეთის მთავრობა, რომელიც ასე თანმიმდევრულად იცავს თავის ნეიტრალიტეტს.

ესპანეთის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ სწორეთ ამ ქვეყნის უახლოესი ისტორია შეიძლება იყოს პროლოგი თანამედროვე ბრძოლისა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა, ისე როგორც წარსული სამოქალაქო ომი ესპანეთში ძირითადად დაახლოებით შეიცავდა იმ ელემენტებს, რომლებიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ბრძოლას ევროპის დაცვისათვის. მოსკოვმა ლენინის ანდერძის მიხედვით, მოაწყო რა ლაშქრობა ესპანელ ხალხზე, ამით აწარმოა პირველი ცდა თავისი საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის, მოეხდინა მთელი ჩვენი მატერიკის ბოლშევიზაცია. ისევე როგორც მაშინ, როცა ინგლისმა ყველაზე უფრო ადრე დაუჭირა მხარი წითელ გვარდიას მორალურად და იარაღით, სანამ ფალანგამ გენერალი ფრანკოს ხელმძღვანელობით არ მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას, დღესაც ინგლისის დახმარება და სიმპათია გადაიხარა საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც ოცნებობს დასავლეთის ძალმომრეობით დაპყრობაზე. ღერძის სახელმწიფოები მაშინაც ცივილიზაციის დაცვის მიზნით აქტიურად გამოვიდნენ ესპანეთის მხარეზე.

მოტყუების მანევრი, რომელსაც მთელი კვირების განმავლობაში მიჰმართავენ ინგლისელები და განსაკუთრებით ამერიკელები მადრიდის მიმართ და რომელმაც გამოიწვია ესპანეთის მთავრობის ერთსულოვანი პასუხი, არ წარმოადგენს ცალკეულ შემთხვევას. ინგლისის განცხადებითვე, ინგლის-ამერიკელთათვის პორტუგალიის დასაყრდენი პუნქტების გადაცემა აზორის კუნძულებზე, იყო აგრეთვე „მრავალი თვის განმავლობაში წარმოებული დაწოლის შედეგი“ ლისაბონზე ლონდონისა და ვაშინგტონის მხრივ. ძალდატანების ეს ცდები პირინეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოების მიმართ ნათელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათ განვიხილავთ, იმ დამოკიდებულებასთან მჭიდრო კავშირში, რომელსაც ინგლის-ამერიკელები იჩენენ საერთოდ ნეიტრალური ქვეყნებისადმი. ყველასათვის ცხადია ის გარემოება, რომ მიუხედავად მათი მყვირალა შეპირებებისა, ომის დაწყების დღიდან რუზველტსა და ჩერჩილს იოტის ოდენადაც არ შეუცვლიათ თავიანთი დამოკიდებულება ნეიტრალური ქვეყნებისადმი,შესცვალეს მხოლოდ მეთოდები. მართალია ინგლის-ამერიკელი ტერორისტული ბომბდამშენები ეხლა, ისე როგორც წინათ, რეგულარულად გადადიან შვეიცარიის ტერიტორიაზე, მაგრამ ლონდონი და ვაშინგტონი იკვებებიან იმის იმედით, რომ როგორმე შესძლებენ საერთოდ ნეიტრალური ქვეყნების წინააღმდეგობის გატეხვას „საზოგადოებრივი აზრის“ მოსყიდვის გზით, პარლამენტში გულისწყრომათა გამოთქმით, ან კრიტიკული კომენტარიებით პრესაში, აშკარა მუქარის ნიშნის ქვეშ.

ნერვების ომში, რომელსაც ინგლის-ამერიკელები აწარმოებენ ნეიტრალური ქვეყნების წინააღმდეგ, განსაკუთრებული პოზიცია უკავია პრესას. მაგალითად, ცნობილი ინგლისური ჟურნალი „სფირი“ ნეიტრალური ქვეყნების ეხლანდელ მდგომარეობას ადარებს ადამიანის მდგომარეობას, რომელიც სდგას ღობეზე და მტკიცედ ეყრდნობა იმ ადგილს, რაც მას უფრო მაგარი ჰგონია. ამ ჟურნალის სიტყვებით უმაღლეს მცნებას ნეიტრალური ქვეყნებისათვის წარმოადგენს აქტიური მონაწილეობის უფლების მოპოვება მსოფლიოს გარდაქმნაში. მას, ვინც უკანასკნელად ჩამოვა ღობიდან, — იძლევა გაფრთხილებას ჟურნალი, — არავითარ შემთხვევაში არ ექნება ადგილი ახალი სასამართლოს კონფერენციის მაგიდასთან. ლონდონის გაზეთი „ფინანშიელ ნიუსი“ ომის დამთავრების შემდეგ ნეიტრალური ქვეყნებისათვის აცხადებს „კარანტინის პერიოდს“, რომლის განმავლობაშიც მათ უნდა შეასრულონ „განსაზღვრული მოთხოვნილებანი“. ნეიტრალურ ქვეყნებს, ვიდრე ისინი შევიდოდნენ რუზველტის მიერ პროექტირებულ მსოფლიო კოალიციაში ამერიკის ხელმძღვანელობით, მოუხდებათ განიცადონ დიდი გარდაქმნა. სწორეთ ასეთსავე ხასიათს ატარებს ბრიტანელი პუბლიცისტებისა და პოლიტიკოსების მუქარა ირლანდიისადმი. ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მორისონმა გულმხურვალედ განაცხადა: „ინგლისში არასოდეს დაივიწყებენ იმას, რომ ეხლანდელ ომში ირლანდია, გამოაცხადა რა თავისთავი ნეიტრალურად, განზე სდგას“. „დეილი მეილი“ კიდევ უფრო აშკარად სწერს, რომ „როცა ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები შეუწყვეტენ ირლანდიას საწვავის მიწოდებას და მოითხოვენ მის განკარგულებაში მყოფ გემებს, მაშინ ირლანდიაში ველარ იხარებენ კარგი ცხოვრებით“.

ომის მთავარ გამჩაღებელთა — რუზველტისა და ჩერჩილის ტაქტიკის გასაგებად სასარგებლოა გავითვალისწინოთ მოტყუების პოლიტიკის მთავარი შტრიხები ნეიტრალური ქვეყნების მიმართ. ეს ტაქტიკა ისახავს ერთადერთ მიზანს, — თავის მხარეზე გადაიბიროს მცირე ერები, რომელთაც დღევანდლამდე შესძლეს განზე მდგარიყვნენ ამ ომიდან. მიზანი გასაგებია, მაგრამ თანამედროვე ომი გასცილდა ინგლის-ამერიკის შესაძლებლობათა საზღვრებს და მოითხოვს მათგან დიდ სისხლიან მსხვერპლს, ვიდრე ეს გათვალისწინებული ჰქონდათ მათ თავიანთი ბოროტმოქმედური თამაშისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფელეტონი

ჯილდო

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ჩვენი დრო ღარიბია მოულოდნელობით. მიუხედავად ამისა, „მეორე ფრონტზე“, ბოლოსდაბოლოს, მოხდა ერთი რეალური და ამასთანავე მეტისმეტად მოულოდნელი შემთხვევა: სტალინმა ინება ევროპაში შემოსაჭრელად დანიშნული ინგლის-ამერიკული ჯარების მთავარსარდლისათვის უმაღლესი საბჭოთა ორდენის მიცემა. სამწუხაროდ, არ იყო აღნიშნული, სახელდობრ რომელ „უმაღლეს საბჭოთა ორდენზეა“ ლაპარაკი. ლენინის, სტალინის, კუტუზოვის, სუვოროვის, „გამარჯვების“, „დიდების“ და სიძველეთა სანაგვიდან ამოყაჭული სხვა ყოველგვარი ყაიდის ორდენთა შორის გენერალი ეიზენჰოვერის დაჯილდოების შესაძლებლობა მეტად მრავალმხრივია.

იმის შესახებ, თუ რა სახის ბრწყინვალე ზიზილპიპილები უფრო მიზანშეწონილია ამშვენებდნენ ამერიკელი გენერლის მკერდს, საკუთარი ფანტაზიით უნდა ვიმსჯელოთ. ჩვენი შეხედულებით, ეს მოსართავი შეიძლება დავუკავშიროთ მარქსისტულ, სლავურ, ძველსლავურ ან რომელიც გნებავთ ტრადიციას.

მაგრამ, შემოდგომის ბუზისმსგავსი დაჟინებით შემოგიჩნდება ერთი კითხვა: რა სასახელო საქმისათვის უწყალობა სტალინმა ეიზენჰოვერს ეს ორდენი? რამდენადაც ცნობილია, ამ გენერალმა, როდესაც იგი საბჭოთა კავშირისათვის ეგზომ სასურველი შემოჭრის განსახორციელებელი ჯარების მთავარსარდლის როლს ასრულებდა, ვერაფრით ვერ მოიგო ბრძოლა, რომელიც კარს გაუღებდა წითელ არმიას ევროპაში შემოსასვლელად. ჯერჯერობით — და ამას თვით ინგლისელები და ამერიკელები არ მალავენ — ეიზენჰოვერის მოღვაწეობა განისაზღვრებოდა მხოლოდ დათვალიერებებითა და მოლაპარაკებებით. არ გვსურს რა რაიმე ცუდის თქმა დათვალიერებათა და მოლაპარაკებათა შესახებ, რომლებიც ეკუთვნიან გენერლების საქმიანობათა წრეს, უნებლიედ გვებადება კითხვა: ნუთუ მხოლოდ ეს არის საკმარისი, ორდენი რომ დაიმსახურო? არა გვგონია. მითუფრო, რომ სტალინი უდაოდ გატაცებულია სულ სხვა ინტერესებით, ვიდრე ეს არის გენერალი ეიზენჰოვერის მზადება. სტალინს ფაქტები სჭირდება. სტალინს სურს დაბოლოს დაინახოს ინგლის-ამერიკელი ჯარისკაცები ატლანტიკის სიმაგრეზე, მას სურს იხილოს — როგორ იცლებიან ისინი სისხლისაგან და უქნევენ მას მოდუნებულ ხელს: — „აბა, ძვირფასო სტალინ, დაასრულე დაწყებული! მიდი ევროპაზე!“ მაგრამ არაფერი ამის მსგავსი სტალინს დღემდე არ უნახავს.

თუ ასეა, მხოლოდ ერთი შესაძლებლობა რჩება. სტალინი უგდებს ეიზენჰოვერს ორდენს იმ ლაჩრული იმედით, რომ ეს უკანასკნელი შეეცდება იგი დაიმსახუროს. ალმასის თვლებით მოჭედილი საბჭოთა ორდენით მკერდზე, ეიზენჰოვერი, საბოლოო ანგარიშში, უნდა აღიმართოს, გაიჭიმოს მთელ თავის სიგრძეზე და დასძახოს თავის ჯარებს საბედისწერო ფრაზა: „რუბიკონისთვის!“ ამ ორდენის გამო მან კისერი უნდა მოიტეხოს ევროპის სანაპიროზე. ორდენმა ხელი უნდა წაჰკრას მას წინ, როგორც ძრავამ იცის ხოლმე, უბიძგოს წინ, გერმანელთა ტყვიებისაკენ, წინ იმ ევროპისაკენ, რომელიც დიდი ხანია უნდა გაჩანაგდეს.

შეასრულებს თუ არა სტალინური ორდენი თავის დანიშნულებას? ჩვენ ეს არ ვიცით. ერთი უდაოა: ტყვიისაგან მას სტალინური ორდენი ალბათ ვერ დაიცავს. ინგლის-ამერიკელ ჯარისკაცებს ერჩივნათ ტყვიის წინააღმდეგ გამძლე ქურთუკები ჰქონოდათ ვიდრე ორდენი მათი მთავარსარდლის მკერდზე. სტალინისაგან ასეთი ქურთუკების მისაღებად ლოდინი მათ არ სჭირდებათ. მას რომ ასეთი ქურთუკები მარაგშიც ჰქონდეს, სულერთია არ გაუგზავნის, „მეორე ფრონტი“ მაშინ ხომ ყოველგვარ აზრს დაჰკარგავდა!

ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ სტალინს; იგი „მეორე ფრონტის“ შესაქმნელად ყველაზე მეტი ხალისით გაიღებდა საფლავის ორ ქვას: ერთს ინგლის-ამერიკელებისათვის, მეორეს — ევროპისათვის. მაგრამ წარმატების მოლოდინი მას მხოლოდ პირველ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს.

ქ.

დედა

ლეგ. შ. ქ.

სევდის ქვეყანამ ჩამიშხამა ახალგაზრდობა
და მშობელ დედის ნაფრქვევი მზე ნისლით დაჰფარა,
მომაგონდება დაცრემლილი და მწარე წუთი,
დედამ რომ მითხრა: „შვილო, კიდევ გნახავ, თუ არა!“
თითქოს ჩემს ირგვლივ ცრემლები წვიმს, ღამეა ავი —
ეკალ-ბარდებით დაჩრდილულა ვარდი და ია,
ჩემთან სდგას დედა — გულმოკლული, თვალცრემლიანი,
ირგვლივ დუმილი და უსიტყვო გლოვის ჟამია!
განშორებისას ჩამიხუტა დედამ და მითხრა:
„გულს ნუ გაიტეხ, ჩემო შვილო, იყავი მხნედა...“
ამ მოძახილში ჩემთან იყო მშობლიურ გრძნობით,
ყველა დედებზე მაღლა მდგომი ქართველი დედა!
„არ დაივიწყო მეგობრები შენ — ჭირში მყოფი,
სადაც არ იყო — კარგი ჰქენი, სულ წინ დაგხვდება,
გული ტანჯვაში ნაწრთობი და გამტკიცებული,
სიამის ვარდად იშლება და მზეებრ ლაღდება...“
შენი სიტყვები უცხო ცის ქვეშ გულს ჩამრჩენია,
ერთ ფიცქვეშ ვდგავართ ქართველები მზიურ ქვეყნისა,
სამშობლოსათვის ვიბრძვით ყველა და ხმალით ხელში
მტერს მზეს ვუბნელებთ, რომ ნათელი კვლავ არ ეღირსოს.
მომავლის სხივებს ვხვდებით ყველა უშრეტ ხალისით,
მტერს აღარ ძალუძს, რომ დაშალოს მებრძოლთა რგოლი,
მიეც იმედი მანდ ლამარას, და ძვირფას კალმით
თორღვაის ვნახოთ აქ რას ეტყვის ჩვენი გრიგოლი.

ქართული ლიტერატურის წრე

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი ათასეული საბრძოლო ამოცანას ასრულებს იტალიის მთებში. დროის გონივრული განაწილება თვითეულ ქართველ მოხალისეს აძლევს საკმარის თავისუფალ საათებს დასვენებისა, შემოქმედებისა და გართობისათვის.

დაინტერესებულ მოხალისეთა ინიციატივით და ათასეულის სარდლობის დახმარებით ჩვენთან ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე.

რამდენიმე ათეულ კილომეტრზე გაფანტული ათასეულის ლიტერატურული ძალები დანიშნულ დღეებში იკრიბებიან ათასეულის შტაბთან, სადაც საამისოდ განკუთვნილ დარბაზში საუბრობენ მშობლიურ ლიტერატურაზე, ისმენენ მოხსენებებს, არჩევენ საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებთ...

გარდა ლიტერატურული საქმიანობისა, წრეს განზრახული აქვს იქცეს ათასეულში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზატორად.

უახლოეს დღეებში წრე ცალკე ასეულებში ჩაატარებს საღამოებს გულმოდგინედ დამუშავებული პროგრამით. გვაქვს განზრახვა დავაარსოთ აგრეთვე საკუთარი პატარა ბიბლიოთეკა, რისთვისაც რამდენიმე წიგნი უკვე ვიშოვეთ.

თვითეული ქართველი მოხალისე, რომელიც სამშობლოს ათასეული კილომეტრებით არის დაშორებული, უდიდესი სიყვარულით იღებს ხელში ქართულ წიგნს ან გაზეთს.

ლეგ. თამაზი

ლეგიონის ძირითადი გუნდი

ლეგიონის ძირითადმა გუნდმა ამ ბოლო ხანებში მეტად გააუმჯობესა მუშაობა. გუნდი შეივსო ახალი კადრებით, შეირჩა ახალი რეპერტუარი. გუნდის წევრთა საკუთარი ინიციატივითა და სახსრებით შეძენილ იქნა ტანსაცმელი და ჩოხები.

ახალ რეპერტუარში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გუნდის მუსიკალური ხელმძღვანელის, ლეგ. კომპ. **პ. ნ-ლის** მიერ დაწერილი სუიტა, რომელიც დამსახურებულ ინტერესს იწვევს თავისი ორიგინალობით. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მეტად მოხდენილი ახალი ჰუმორისტური ნომრები. რომელთა ავტორები არიან ლეგ. მსახიობები დ-ძე და ქ-ია. ნომრები აგებულია იმგვარად, რომ ქართული ენის უცოდინარი მაყურებელიც ადვილად მიხვდება მათს შინაარსს, ესტრადის უნივერსალური ხერხით დამუშავებული ეს ნომრები, რომელთა მუსიკალური გაფორმება წარმატებით შეასრულა კომპ. **პ. ნ-მ**, დიდ აღფრთოვანებას იწვევს მოხალისეთა შორის.

მზადდება და მოკლე ხანში დაიდგმევა ლეგ. **მ. ჩ-ს** მიერ დაწერილი ახალი პიესა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გუნდი გამოვიდა სრული პროგრამით ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა უცხო მაყურებელზე.

გუნდის საერთო ხელმძღვანელის ლეგ. **შ. მ-ს**, კომპ. **პ. ნ-ს**, მსახიობების დ-სა და **ქ-იას**, მოცეკვავეების **შ. ა-ძისა** და **შ. ს-ას** დაჟინებული მუშაობის შედეგად, ისევე როგორც მთელი კოლექტივის მუდმივი მეცადინეობით, ლეგიონის ამ ძირითადმა გუნდმა უკვე მოიხვეჭა ევროპაში არსებულ ქართულ გუნდთა შორის ყველაზე საპატიო სახელი.

ვუსურვებთ გუნდს მომავალში უფრო მეტი ენერგიით ემსახუროს ჩვენი მოხალისეების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას.

ლეგ. პ. ვ.

მხოლოდ ხოხვით შეიძლება მიზნის მიღწევა...

შეურყეველი რწმენით...

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ზამთრის სუსტი მზე ხანდახან გადმოიხედავდა ტყვიისფერი ღრუბლებიდან და სხივებს აფრქვევდა ატლანტიკის მიდამოს. სანაპიროებზე ბუნკერებსა და სიმაგრეებში ადამიანები იდგნენ საბრძოლო იარაღებთან, გაჰყურებდნენ ოკეანის უსაზღვრო სივრცეს. ნაშუადღევის ორ საათზე მეთვალყურემ ახალი დასმენა გადმოსცა. „მტრის თვითმფრინავები“ — გრგვინვასავით გაისმა ხმა ბუნკერებში... ჯარისკაცები ელოდნენ ბრძანებას გაეხსნათ ცეცხლი... ბრიტანული თვითმფრინავები სადაზვერვო ფრენას აწარმოებდნენ გამაგრებულ რაიონში. რამდენიმე წუთის შემდეგ ბუნკერებიდან და თხრილებიდან გახსნეს ცეცხლი... ცის თაღი გრგვინავდა... შორმსროლი ქვემეხებიდან გასროლილი ყუმბარების ხმა აზანზარებდა ზეგანს. გამანადგურებელ ცეცხლში მოქცეული მტრის თვითმფრინავებიდან ერთი დაეშვა ძირს, შავი ბოლი ავარდა ჰაერში. სიმაგრიდან ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე დაეცა იგი მიწაზე და დაიფერფლა. მეორე მათგანი ალმოდებული ჩაეშვა ოკეანის სიღრმეში...

ბუნკერები ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყვნენ, რომ ჩვენი ასეული მოვიდა გერმანელი ჯარისკაცების შესაცვლელად. ჩვენმა მისვლამ ისინი აღფრთოვანებაში მოიყვანა, მათ ჩაგვაბარეს საბრძოლო იარაღები, გვისურვეს წარმატება და თვით დასასვენებლად წავიდნენ მახლობელ ზურგში. ქართველი მოხალისეები შეუდგნენ საყარაულო სამსახურს. დაიწყო პასუხსაგები და საამაყო მოვალეობის შესრულების დღეები.

13 თებერვალს სანაპიროზე ნისლი იწვა, ზღვა შფოთავდა... მეთვალყურე ფხიზლად იდგა თავის საგუშაგოზე. აი მოესმა მას თვითმფრინავის ხმა... ორიოდე წუთის შემდეგ ყველა ბუნკერში გაისმოდა საბრძოლო ძახილი — „მტრის თვითმფრინავების შენაერთი, სიმაგრეებიდან მარჯვნივ გამოჩნდნენ მზვერავები“...

„იარაღებთან“ — გაისმა ასეულის უფროსის ბრძანება. იარაღები მომართეს. მტრის თვითმფრინავთა შენაერთმა მიმართულება შეცვალა, ისინი წავიდნენ ჩვენს მეზობლად მყოფ ბუნკერებისაკენ, იქ გერმანელი ჯარისკაცები აწარმოებდნენ საყარაულო სამსახურს. ელვის სისწრაფით გახსნეს გერმანელებმა ცეცხლი, ისვროდნენ საზენიტო ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, შორმსროლი ქვემეხები... გადამღობი ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა. მტრის თვითმფრინავების შენაერთი დაიქსაქსა, ბომბდამშენები უწესრიგოდ უკუიქცნენ, რამდენიმე მათგანი მსხვერპლად შეეწირა გერმანელთა ცეცხლს...

16 თებერვალს, დილით, ჩვენს ასეულს ესტუმრა ათასეულის უფროსი ც-ლი. მან დაათვალიერა საცეცხლო წერტები, სიმაგრეები და გასცა ბრძანება ჩაგვეტარებინა შესამოწმებელი მეცადინეობა. მართლაც, ჩვენი ასეული განლაგდა საბრძოლო წყობით, სანგრებიდან ჩვენ თვალი მოვკარით პატარა ავტომანქანას, რომელიც გვიახლოვდებოდა. სანგრიდან 500 მეტრის მანძილზე გაჩერდა მანქანა და იქიდან პოლკოვნიკი გადმოვიდა. იგი მოგვესალმა და გვითხრა: „როგორაა საქმე, ქართველებო?“ „კარგად არის, ბატონო პოლკოვნიკო! — ერთხმად მივუგეთ ჩვენ. პოლკოვნიკს სურდა ენახა ჩვენი მეცადინეობა.

„ცეცხლი“ — მოგვცა მან ბრძანება... ქართველმა მოხალისეებმა მომართეს ქვემეხები, ნალმსატყორცები, ტყვიამფრქვევები. დაიწყო სროლა. სანიშნეებს არ სცდებოდა დამიზნებული ტყვია და ყუმბარა. პოლკოვნიკი კმაყოფილი იყო, წასვლისას მან გვისურვა წარმატება... შემოწმებამ კარგად ჩაიარა. ასეულმა დაამტკიცა ბრძოლის მაღალი უნარიანობა. ქართული ბუნკერები, საყარაულო სამსახური და საერთოდ ჩვენი ნაწილის საბრძოლო მდგომარეობა შეისწავლა აგრეთვე მოხალისეთა ნაწილების დივიზიის უფროსმა. იგი ესაუბრა ცალკეულ მოხალისეებს, დაესწრო საყარაულო სამსახურს, სროლას, ტაქტიკურ მეცადინეობას და მოგვცა მითითებანი ბრძოლისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ატლანტიკის სანაპიროები ეხლა ჩვენი საბრძოლო უბანია. გერმანელ ჯარისკაცთან ერთად, თვითეული ჩვენგანი მოწოდებულია დაიცვას ევროპის ეს ციხესიმაგრე. ამას გრძნობს თვითეული მოხალისე და ამიტომაა, რომ ასე შეუპოვარის რწმენით სდგას საბრძოლო იარაღებთან. რა პროვოკაციასა და ცდას არ უნდა მიჰმართონ ინგლის-ამერიკელმა ყაჩაღებმა, ისინი ყოველთვის საკადრის პასუხს მიიღებენ. ქართული ბუნკერებისა და ქვემეხების ძალა, ჩვენი და გერმანელი ჯარისკაცის საბრძოლო მეგობრობის სიძლიერე ბევრჯერ გამოსცადეს პლუტოკრატებმა.

ჩვენ, ქართველ მოხალისეებს, რომლებიც გმირულად ვიბრძოდით აღმოსავლეთის ფრონტზე ბოლშევიზმის წინააღმდეგ, აქაც, დასავლეთში, ერთი მტკიცე გადაწყვეტილება გვაქვს — ვიბრძოლოთ გერმანელ მეგობრებთან ერთად ბოლშევიზმისა და მის ხელშემწყობთა — ინგლის-ამერიკელთა წინააღმდეგ.

პასუხსაგები მოვალეობა დაგვაკისრა გერმანიის სარდლობამ. იგი მოგვიწოდებს, მუდამ მზად ვიყოთ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ამ დიადი ამოცანის მაღალი შეგნებით ვდგავართ ჩვენ ატლანტიკის სანაპიროებზე და ყოველწუთს მზად ვართ შევხვდეთ მტერს გამარჯვების რწმენით. ინგლის-ამერიკელი ავაზაკების წინააღმდეგ ბრძოლით, მოხალისეთა სხვა ქართულ ნაწილებთან ერთად, ჩვენი ასეული ასრულებს ბრწყინვალე საკაცობრიო მოვალეობას. ქართველი მოხალისეების სახით წარმოდგენილია უკვდავი ქართველი ერი, რომელიც ხელიხელჩაკიდებული იბრძვის დიდ გერმანელ ხალხთან ერთად კაცობრიობის მტრების წინააღმდეგ, ევროპის დაცვისათვის. ამ ისტორიულ ბრძოლაში ღვაწლი მიგვიძღვის ჩვენც, ქართველ მოხალისეებს.

ლეგ. ს. გ.

ატლანტიკის სიმაგრე

ატლანტიკა — ევროპის დასავლეთი უძლეველი ციხესიმაგრე. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: სანაპირო დაცვის ასეული მიდის საყარაულო სამსახურის შესასრულებლად; ერთერთი სადარაჯო პუნქტი სანაპიროსთან; მავთულხლართების ლობეები ზღვის მახლობლად; გიგანტური სიძლიერის მქონე ქვემეხი ატლანტიკაზე.

მემატიანის ბლოკნოტიდან

სად არის „მეორე ფრონტი“?

მას შემდეგ, რაც გერმანიის ავიაციამ ხუთი დღის განმავლობაში მოახდინა ექვსი დიდი საჰაერო თავდასხმა ლონდონზე, რითაც მეტად საგრძნობი ზიანი მიაყენა ინგლისის მრეწველობას და თვითონ კი 20 თვითმფრინავი დაჰკარგა (ინგლისელებისვე ცნობებით), მისტერი ჩერჩილი იძულებული იყო პირიდან სიგარა გამოეღო და წარმოეთქვა გრძელი სიტყვა, რომლის საშუალებით იგი შეეცადა გაეფანტა მთელ ინგლისში გამეფებული სასოწარკვეთილი მდგომარეობა.

ამჯერად ჩერჩილი ციცერონსავით ლაპარაკობდა. სცვიოდა რა პირიდან მჭერმეტყველური მარგალიტები, მან თავისთავსაც კი გადააჭარბა. ხმა ჩაეხრინწა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა იჰჰებოდა, მაგრამ... ვაი, რომ მისმა სიტყვამ ვერავინ ვერ დაამშვიდა. ლონდონის მოსახლეობა განაგრძობს ქალაქიდან უთავბოლო გაქცევას, მუშები გაფიცვებს აწყობენ და ომის შეწყვეტას მოითხოვენ.

მაგრამ მაინც რა სთქვა დიდი ბრიტანეთის დიდად პატივცემულმა პრემიერ-მინისტრმა?

მისტერმა ჩერჩილმა, თვალიც კი არ დაუხამხამებია, ისე განაცხადა, რომ ეხლა ინგლისი გერმანიას ებრძვის მარტოხელა: აღნიშნა რა, რომ ინგლისის ბომბდამშენთა ტერორისტული თავდასხმანი ევროპის კონტინენტზე, წარმოადგენენ, მისი აზრით, სწორეთ იმ „მეორე ფრონტს“, რომელზედაც სტალინი ოცნებობს, ჩერჩილმა განამტკიცა ეს თავისი აზრი დემაგოგიური განცხადებით, თითქოს ეხლა გერმანიის ავიაციის 80 პროცენტი თავმოყრილი იყოს ლამანშის სანაპიროზე, და რომ მხოლოდ ამით შეიძლება იმ მდგომარეობის ახსნა, რომ „ლონდონში მეორდება 1940 წლის სურათი“. ასე სთქვა ჩერჩილმა, მაგრამ — ყველაზე საინტერესოა! — თითქმის იმავე დროს, სტალინმა სრულიად საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა.

სტალინის N 16 ბრძანებაში (1944 წ. 23 თებერვალი), რომელიც მიძღვნილი იყო წითელი არმიის 26 წლისთავისადმი, არის ასეთი სტრიქონები:

„საბჭოთა კავშირმა მარტოდ-მარტომ არა მხოლოდ შესძლო გერმანიის სამხედრო მანქანის შერყევა, არამედ მიაყენა კიდეც გერმანულ-ფაშისტურ ჯარებს გადამწყვეტი მარცხი...“

მაინც რა გამოდის?

გამოდის ის, რომ სტალინსაც და ჩერჩილსაც სურთ თავი გამოიჩინონ ამ ომის გმირებად. სტალინის მიხედვით, „მეორე ფრონტი“ დასავლეთში უნდა შეიქმნას, ჩერჩილის მიხედვით კი „მეორე ფრონტი“ ეხლა უკვე აღმოსავლეთშია საჭირო. და არავის არ უნდა აღიაროს, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ერთი ფრონტი, — ფრონტი, სადაც გერმანული ჯარები მეთოდურად ამარცხებენ თავის მოწინააღმდეგეებს, აყენებენ რა მას დარტყმებს ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან...

არა! ვერ შეთანხმდნენ კეთილი „მოკავშირენი“. ვერ შეთანხმდნენ ვერც მოსკოვში, ვერც თეირანში, ვერც რომელიმე სხვა ადგილას. ვერ შეთანხმდნენ და ვერც ვერასოდეს შეთანხმდებიან: მეტისმეტად ცბიერი ხალხია!..

საინტერესო თემაზე

საპნის ბუშტის აფსკის სისქე

საპნის ბუშტის აფსკი წარმოადგენს ერთერთ მეტად თხელ საგანს, რომელიც უიარაღო თვალით შეიძლება დავინახოთ. ჩვეულებრივი საგნებით, რომლებიც ჩვენს ენაზე ყველაზე თხელის ცნების გამოსახვისათვის იხმარება, არ შეიძლება დახასიათდეს საპნის ბუშტის აფსკის სისქე. თმისა და პაპიროსის ქაღალდის სისქე ხუთიათასჯერ მეტია საპნის ბუშტის აფსკის სისქეზე.

სიცილის გამომწვევი მცენარეები

ყველაზე საინტერესო მცენარეებად დედამიწაზე უნდა ჩაითვალონ არაბეთის ის მცენარეები, რომლებიც სიცილს იწვევენ. მათ აქვთ ღიაყვითელი ფერის ყვავილები, რომლებიდანაც შემდეგ ვითარდება 2—3 მარცვალი. არაბები ამ მარცვლებიდან გახმობის შემდეგ ამზადებენ ფხვნილს და ხმარობენ ისე, როგორც ბურნუთს.

ფხვნილის შეყნოსვის შემდეგ, ისევე, როგორც ეს ხდება გამამხიარულებელი აირის შეყნოსვისას, ადამიანი იწყებს ხანგრძლივად სიცილს, ცეკვას, მხიარულებას და ყოველ ნაბიჯზე აჩვენებს, რომ იგი საუკეთესო ხასიათზეა. ხანმოკლე მხიარულების შემდეგ იწყება ძლიერი რეაქცია, რომელიც ღრმა ძილში გადადის.

ძალოსანი მწერები

მწერებს შორის არსებობენ ისეთი ძალოსნები, რომელთაც შეუძლიათ უჩვეულო სიმძიმეების გადატანა. ზოგიერთი მათგანი, დაძაბულობის გარეშე, ახერხებს გადაიტანოს თავის სხეულთან შედარებით სამასჯერ მეტი წონის საგანი. ასეთ მწერებს ადამიანი რომ შეედაროს, დასჭირდება 2 ტონა ტვირთი ზიდოს.

მინდვრის ან ტყის ჩვეულებრივ ჭრიჭინას მიაქვს ტვირთი, რომელიც სჭარბობს მის საკუთარ წონას 180-ჯერ, ხორცის ბუზი ეწევა ტვირთს 170-ჯერ მეტს და ა. შ. ისეთი ნაზი ქმნილებაც კი, როგორიცაა მუხლუხა, მიათრევს სიმძიმეს, რომელიც საკუთარ წონას 25-ჯერ აღემატება.

ჭრიჭინა ხელში რომ დავიკავოთ, თავისუფლად დარჩენილი ფეხებით მას შეუძლია დაიჭიროს ხის ნაჭერი, რომლის წონაც 500-ჯერ მეტი იქნება საკუთარი სხეულის წონაზე.

ტორფი, როგორც ნედლეული

ტორფის აგურაკები საუკეთესო სათბობს წარმოადგენენ. ტორფისაგან მზადდება ქაღალდი და მუყაო. მისგან შეიძლება დაიწნეხოს ფიცრები საამშენებლო მიზნებისათვის. ქიმიაში ტორფი ასრულებს დიდ როლს, როგორც ნედლეული, ტორფის ბენზინის, ზეთისა და პარაფინის მისაღებად.

გარდა ამისა, ტორფის ფისიდან მიიღება ორგანული ფუძეები (ანელინი, პირიდინი და სხვ.), რომელნიც გამოიყენებიან საღებავისა და პარფუმერიის მრეწველობაში. ტორფის პროდუქტები ფართო გამოყენებას ჰპოვებენ აგრეთვე ზოგიერთ სამედიცინო პრეპარატში.

პირველი პლანერი

პირველი პლანერი გამოიგონეს უნგრეთში 200 წლის წინათ. ეს ფაქტი დადგენილ იქნა ერთერთი სააბატოს არქივში ნაპოვნი ხელნაწერებით. პირველი პლანერის კონსტრუქტორი იყო სააბატოს დიაკვანი კიპრიანი, რომელმაც თავისი პლანერით რამდენიმე საათი დაჰყო ჰაერში. ეს „ეშმაკეული“ ხელობა არ მოეწონა ეპისკოპოზს და გასცა ბრძანება დაეწვათ პლანერი, ხოლო გამომგონებელს დასწამეს ღვთისგმობა.

ნარევი

რა იწვევს გაწითლებასა და მთქნარებას

ჩვენი სხეული, და პირველ რიგში კი გული, ყოველგვარ „აღელვებაში“ ძლიერ მონაწილეობას ღებულობს. ჩვენს სიხარულსა და შიშში მონაწილეობს აგრეთვე სისხლის გამტარებელი მთელი სისტემა. ტანის ზედაპირზე მყოფ ჩვენი კანის სისხლის სადენ მილებს შეუძლიათ სულიერი აღელვების გავლენით გაფართოება და ამით აძლევენ მას წითელ ფერს. ამიტომ არსებობს სიხარულისა და შიშის სიწითლე. უწინარეს ყოვლისა, ცნობილია სირცხვილის სიწითლე და აგრეთვე სიწითლე, გამოწვეული შიშით. მეტად საინტერესოა აგრეთვე მოვლენები, რომელნიც ჩვენს კანზე იჩენენ თავს შიშის გრძნობის გამო: სისხლი თანაბრად მიმოიქცევა სხეულის შიგნით და მილები იკუმშებიან. ამით აიხსნება გაფითრება შიშის დროს.

რათ ხდება გულის წასვლა’

უეცარ აღელვებას ანუ შიშს შეუძლია გრძნობიერ ადამიანში განსაზღვრული დროის მანძილზე გრძნობის დაკარგვა გამოიწვიოს. ტვინის სისხლის სადენი მილები შიშის გავლენით რეფლექტორულად იკუმშება, ამით ტვინი დროებით უსისხლოდ რჩება და ადამიანი ჰკარგავს გრძნობას. ვინც ნერვების გაღიზიანებით ან სისხლნაკლულობით დაავადებულია, ის თავისთავად ბევრს ვერ აიტანს, მაგრამ ზოგი სრულიად ჯანსაღი ადამიანიც გულის წასვლას იგრძნობს, თუ იგი ხალხით სავსე ოთახში მშიერი კუჭით დიდხანს ფეხზე სდგას. უმრავლეს შემთხვევაში მარტივი საშუალებებით არის შესაძლებელი ტვინის სისხლის მიმოქცევის ხელახლა ამოძრავება.

*

მცურავი კუნძულები

ჩრდილოეთი ევროპის ზღვებში არსებობს რამდენიმე მცურავი კუნძული. ამ კუნძულების ჩაყვინთვა ზღვაში და შემდეგ ზღვის ზედაპირზე მათი ხელახალი გამოჩენა უნდა ვიფიქროთ, რომ გამოწვეულია მიწისქვეშა აირების კონცენტრაციით.

გასართობი

ჭადრაკი

ამოცანა N 7

ვ. ა. ზინკმანი



თეთრები: მფf6, ეტc6, კe8, პf7 (4).
შავები: მფd8 (1).

შამათი ორ სვლაში.

ამოცანა N 6 პასუხი:
პc7-c8, ქუ!

შეამოწმე შენი ცოდნა

1. რა არის ეტალონი?
2. ვინ იყო ფულტონი?
3. ვინ ჩამოაყალიბა ატომების თეორია პირველად?
4. ვინ და როდის გამოიგონა ელექტროძრავი?
5. ვინ აწარმოვა პირველად დიფერენციული აღრიცხვა?

N 10 (87) მოთავსებული შეკითხვების პასუხი

1. დაიმლერმა და ბენცმა, 1885 წ.
2. ძმებმა ლუმიერებმა, 1906 წ.
3. გუტენბერგმა, 1436 წ.
4. მენლაინმა, 1510 წ.
5. ტორიჩელიმ, 1643 წ.

მთავარი რედაქტორი
ასმეთ. ბაი მაღლაკელიძე
რედაქციის მისამართი:
Georgische Zeitung „Sakarthwelo“.
Berlin W 7, Dorotheenstraße 64

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

ანდრე ჟიდი და სსრ კავშირი

პარიზში, ოცდაათიან წლებში გამოვიდა ცნობილი წიგნი „დაბრუნება სსრ კავშირიდან“, რომელიც ეკუთვნოდა ფრანგი კომუნისტისა და მწერლის ანდრე ჟიდის კალამს. ეს წიგნი, რომელმაც გაუგონარი სენსაცია გამოიწვია მთელს მსოფლიოში, მრავალი ქართველი მკითხველისათვის ცნობილია მხოლოდ სათაურით, ვინაიდან სტალინმა სასტიკად აკრძალა მისი გავრცელება. მიუხედავად ამისა, საქართველოში აქა-იქ მაინც ლაპარაკი დაიწყეს, რომ ურუემა კომუნისტმა დასწერა წიგნი, რომელშიც გაუგონარი სიმკვეთრით ამხილა სტალინური ბოლშევიზმი და მთელი სტალინური სისტემა. ეს მითუფრო საინტერესო იყო, რომ აღნიშნული წიგნის ავტორი არ ყოფილა „ბურჟუაზიული“ მწერალი ან ჟურნალისტი.

დღესაც ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა ქართველი მოქალაქე კითხვას სვამს: „სად შეიძლება ვიშოვოთ ანდრე ჟიდის წიგნი?“ „სწორეთ არ ვიცით, ურიაა თუ არა ჟიდი, ამიტომ ხომ არ ატარებს იგი ასეთ გვარს?“.

ჟიდი ავტორის ნამდვილი გვარია. ეს შეუძლებელიც იქნებოდა, რომ იგი სისხლით, და არა გვარით, ურია ყოფილიყო, ვინაიდან, ვის გაუგონია, რომ ნამდვილი ურია ასე გულწრფელად და პატიოსნად აკრიტიკებდეს საბჭოთა ბოლშევიზმს? ვინ არ იცის, რომ საბჭოთა ბოლშევიზმი, საბოლოო ანგარიშში, საერთაშორისო ურიობის იარაღია და მეტი არაფერი!

გარემოებანი, რომლებიც წინ უსწრებდნენ ჟიდის სენსაციური წიგნის დაწერას, ასეთია: ჟიდი თავგამოდებით მუშაობდა საფრანგეთში, როგორც კომუნისტი აგიტატორი და თავის ნაწერებში კომუნისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდა. სტალინის პირადი მიწვევით, ჟიდი გაემგზავრა საბჭოთა კავშირში ხანგრძლივი დარბაზობისათვის, სადაც მრავალ თვეს დაჰყო. სამშობლოში ჩასვლის შემდეგ, მან გამოსცა წიგნი „დაბრუნება სსრ კავშირიდან“, რომელიც სულ რამდენსამე დღეში გაიყიდა, სწორეთ იმიტომ, რომ მან გაუცრუა ყველა მოლოდინი კომუნისტებსა და მათ ავანჩავანებს. ამ წიგნმა განსაზღვრა ანტიკომუნისტური პროპაგანდის დიდი წარმატება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. სტალინის აგენტებმა საფრანგეთში კუსავით ფეხი გამოჰყვეს. თვითონ სტალინი წვერ-ულვაშს იგლეჯდა სიბრაზისაგან. კომუნისტებმა ათასგვარი ცილი დასწამეს ჟიდს და პარტიიდან გარიცხეს. მაგრამ ეს მხოლოდ ახალ რეკლამად გამოადგა ჟიდის წიგნს. მისი მეორე და მესამე გამოცემა მოკლე ხანში მთლიანად გასაღდა. ჟიდმა შესძლო თვალები აეხილა სტალინური პროპაგანდით დაბრმავებული მრავალი მშრომელი ფრანგისთვის.

მაგრამ ჟიდის წიგნი მაინც შორს იყო იმისაგან, რომ მას შეუბრალებელი კრიტიკა დარქმეოდა. ეს არის მხოლოდ აქა-იქ გამოთქმული, მაგრამ გულწრფელად მოთხრობილი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირის შესახებ, სრულიად ბუნებრივი დასავლეთ ევროპის იდეალისტურად განწყობილი კომუნისტისათვის, რომელიც ერთხელ მაინც ყოფილა „მუშათა და გლეხთა სამოთხეში“ და ჯერ არ დაუკარგავს მხედველობის გრძნობა.

ჟიდი აღწერს ზოგიერთ ეპიზოდს, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს დასავლეთ-ევროპელი მკითხველი, მაგრამ საბჭოთა მკითხველისათვის, რომელსაც ეხლა საშუალება აქვს შეადაროს ევროპული სინამდვილე საბჭოთა პროპაგანდის მონაცემებთან, ყველა ამაში არაფერია მოულოდნელი. ანდრე ჟიდი ესტუმრება, მაგალითად, საბავშვო ბაღს და ესაუბრება პატარებს. „რატომ სცემენ ბავშვებს საფრანგეთის სკოლებში?“ — ეკითხება მას ხუთი წლის ლაწირაკი. ჟიდი გაოცებულია. არ სურს რა მოტყუება, ის უპასუხებს: „ჩვენთან ბავშვებს არ სცემენ“. მაგრამ პატარა კვლავ თავისას გაიძახის: „მასწავლებელმა რომ გვითხრა — ბავშვებს ყველა ქვეყანაში სცემენ, მხოლოდ ჩვენთან არაო!“.

ჟიდი პიონერთა ბანაკს ათვალიერებს. „არის თქვენთან, საფრანგეთში, ტრამვაი?“ — ეკითხება მას ათი წლის პიონერი. „ცხადია, ჩემო კარგო, საფრანგეთში არის ტრამვაი“. ათი წლის ბიჭი მას უნდობლად შეჰყურებს. „მაგრამ მეტრო თქვენ უთუოდ აღარ გექნებათ!“ — ნაადრევად ზეიმობს პიონერი. „როგორ არა, გვაქვს, ჩემო ძვირფასო!“ — მოთმინებით უპასუხებს ჟიდი. — „ჩვენ მეტროცა გვაქვს, უკვე ოცი წელიწადია“. მაშინ, — მოგვითხრობს ჟიდი, — ბავშვებმა არც აციეს, არც აცხელეს და ზურგი შემიბრუნეს, რადგან ასეთ „სულელთან“ მათ, უბრალოდ, აღარ უნდოდათ ლაპარაკის გაგრძელება. როგორ შეიძლება რომელიმე სხვა ქვეყანაში იყოს მეტრო, როდესაც მოსკოვში იგი მხოლოდ ეხლა ააშენეს?

საბჭოთა ბავშვებთან ამ საუბრებმა ჟიდზე საშინელი შთაბეჭდილება დასტოვეს. იგი დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირში იზრდება თაობა, რომელსაც ყველა საშუალებით სტენიან თავში და ასწავლიან ზიზღსა და სიძულვილს ყველა უცხოს მიმართ, ხოლო თავისი საცოდავი ცხოვრების შესახებ ეუბნებიან, რომ ეს არის მთელ ქვეყანაზე საამური ცხოვრებაო. „განა შეუძლია ხალხს, რომელსაც ასე ატუტუცებენ, ოდესმე შესძლოს კაცობრიობის ხსნა?“ — კითხულობს ჟიდი, ურუევი კომუნისტი, რომელსაც სწამს მსოფლიო რევოლუცია.

თავის წიგნში ანდრე ჟიდი შემდეგ მოგვითხრობს საუბარის შესახებ საბჭოთა საზღვაო ოფიცერთან და აღიარებს, რომ სტალინურმა პროპაგანდამ უკვე მოახერხა მოეხდინა გამანადგურებელი გავლენა ამ წრეზედაც. როცა ჟიდი უყვება რამეს დასავლეთი ევროპის შესახებ, საბჭოთა მეთაური მალ-მალე აწყვეტინებს მას, „ეს შეუძლებელია, ეს ჯერკიდევ არასოდეს დაუწერიათ „პრავდაში“! ჟიდი უმაღლეს წერტილამდეა გაოცებული, მას ხომ საზღვაო ოფიცერი ელაპარაკება!

ჟიდი ღრმად იხედება საბჭოთა მუშის ცხოვრებაში, მას მუშები ეუბნებიან: „ხომ მართალია, რომ ჩვენ უკეთ ვცხოვრობთ, ვიდრე „კაპიტალისტური“ ქვეყნების მუშები?“

ყველაფერი, რაც ანდრე ჟიდმა გამოსცადა, სხვა ევროპელ კომუნისტებსაც გამოუცდიათ, რომლებიც თავის დროზე მოხიბლული იყვნენ სტალინის პროპაგანდით საბჭოთა კავშირში მუშაობისათვის წასვლაზე. ისინი, — ვისაც იშვიათი ბედნიერება ხვდათ დაბრუნებულიყვნენ უკან, სიკვდილამდე მტკიცე ანტიბოლშევიკები გახდნენ. მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილმა გაბედა ხმამაღლა გამოეთქვა ეს თავისი აზრი.

მ. ბ.